# ოზურგეთის მუნიციპალიტეტის
# გენდერული თანასწორობის საბჭოს მიერ
# 2022 წელს გაწეული საქმიანობის ანგარიში

ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2021 წლის #68 განკარგულების შესაბამისად შეიქმნა ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს „გენდერული თანასწორობის საბჭო“, საბჭოს შემადგონლობა განისაზღვრა 19 წევრით.

2022 წლის 21 იანვარს #68 განკარგულებაში შეტანილი იქნა ცვლილება ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს „გენდერული თანასწორობის საბჭო“-ს წევრების შემადგენლობაში.

2022 წლის 28 მარტს, ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკრებულომ დაამტკიცა ოზურგეთის მუნიციპალიტეტის გენდერული თანასწორობის საბჭოს 2022 წლის სამოქმედო გეგმა.

გენდერული თანასწორობის საბჭო თავის საქმიანობაში ხელმძღვანელობს „გენდერული თანასწორობის შესახებ“ საქართველოს კანონის, „დისკრიმინაციის ყველა ფორმის აღმოფხვრის შესახებ“ საქართველოს კანონის, თანასწორობის საბჭოს რეგლამენტითა და გენდერული თანასწორობის საბჭოს დებულებით, ასევე საერთაშორისო ხელშეკრულებების ფარგლებში, რომელიც რატიფიცირებულია საქართველოს პარლამენტის მიერ.

გენდერული თანასწორობის საბჭოს საქმიანობის ორგანიზაციულ-ტექნიკურ უზრუნველყოფას ანხორციელებს ოზურგეთის საკრებულოს აპარატი.

გენდერული თანასწორობის ხელშეწყობის მიზნით, ოზურგეთის მუნიციპალიტეტის მიერ საანგარიშო პერიოდში განხორციელდა რიგი აქტივობები, მათ შორის მნიშვნელობანია:~

- საქველმოქმედო ფონდ ,,აი, იას“- თან და ქართულ-გერმანულ მუსიკათერაპიის ცენტრ „ბეკარ“- თან გაფორმდა მემორანდუმი, რომელიც სპეციალური საჭიროების მქონე პირთათვის განკუთვნილი პროგრამების და სერვისების მხარდაჭერას

ითვალისწინებს. ამ პროექტის ფარგლებში კონსულტაცია გაეწიათ იმ ბავშვებს, რომელთაც აქვთ სმენის დაზიანება და მეტყველებასთან დაკავშირებული პრობლემები, ასევე ჩატარდა მუსიკათერაპიის სეანსები ფსიქო-ემოციური პრობლემების მქონე ბავშვებისათვის. მშობლებისათვის ნეიროფსიქოლოგებთან გაიმართა კითხვა-პასუხის სესია. საბავშვო ბაღის და დაწყებითი კლასების მასწავლებლებისთვის ჩატარდა ვოქშოფები და პრაქტიკული სამუშაოები.

- ,,ტოლერანტობის საერთაშორისო დღესთან“ დაკავშირებით - ეთნიკური და რელიგიური უმცირესობის წარმომადგენლებთან ერთად, დაბა ნასაკირალში გაიმართა ღონისძიება. ღონისძიების ფარგლებში მოეწყო ეთნიკურ უმცირესობათა წარმომადგენლების კუთხეები - ხელნაკეთი ნივთების, ტრადიციული კოსტიუმების, კოლეჯ „ჰორიზონტის“ და ოზურგეთის ტექნოპარკის ნამუშევრების გამოფენა და ტრადიციული კერძების პრეზენტაცია. ბავშვებისთვის გაიმართა სხვადასხვა სახალისო აქტივობები და ჩატარდა კონცერტი, რომელშიც მონაწილეობდნენ: ანსამბლი „შვიდკაცა,“ ნასაკირალის სკოლის საბავშვო სტუდია. ასევე, კულტურისა და მოსწავლე-ახალგაზრდობის ცენტრი, ჯუმბერ დუნდუას სახელობის სახელმწიფო ანსამბლი „გურია“ და ოზურგეთის თოჯინების თეატრი.

- შშმ პირების საერთაშორისო დღესთან დაკავშირებით (3 დეკემბერი) - ეტლით მოსარგებლე 9 სკოლის მოსწავლეს შევუძინეთ სამახსოვრო საჩუქარი. საქველმოქმედო ასოციაცია "გურიას" ბენეფიციარებისთვის ოზურგეთის მუნიციპალიტეტისა და კულტურის და მოსწავლე-ახალგაზრდობის ცენტრის ორგანიზებით გაიმართა ღონისძიება. კერძოდ, კულტურის ცენტრთან არსებულმა ანსამბლებმა, ასევე, “არტ-ჯუნიორის” მოსწავლეებმა მრავალფეროვანი პროგრამა წარუდგინეს მაყურებლებს. პარალელურად რამდენიმე ნომერი ასოციაცია "გურიას" ბენეფიციარებმაც შეასრულეს.

- საერთაშორისო კამპანია ,,ვარდისფერი ოქტომბრის" კვირეულთან დაკავშირებით, საინფორმაციო კამპანიის ფარგლებში ძუძუს კიბოს წინააღმდეგ ბრძოლისადმი მიძღვნილი სხვადასხვა აქტივობები განხორციელდა. კერძოდ, ქალაქის ტერიტორიაზე მოეწყო თემატური ფოტო - გამოფენა, ჩატარდა ფლეშმობი, გაიმართა საინფორმაციო შეხვედრა. ოზურგეთის სახელმწიფო დრამატული თეატრი ვარდისფერ ფერში განათდა.

- 2022 წლის 7 დეკემბერს გამართულ კონკურსში გამოვლინდა - ქალთა მიმართ ძალადობის წინააღმდეგ მიმართული საერთაშრისო ნარინჯისფერი მსოფლიო კამპანიის - ,,არა ქალთა მიმართ ძალადობას’’ - ფარგლებში ნახატებისა და ესეების

კონკუსში გამარჯვებული მოსწავლეები. ღონისძიების ფარგლებში ფულადი ჯილდო გადაეცა 6 სხვადასხვა სკოლის მოსწავლეს.

- ძალადობის წინააღმდეგ გლობალური კამპანიის ფარგლებში (15-16 დეკემბერს), ოზურგეთის მუნიციპალიტეტის მერიამ ჩაატარა ტრენინგი თემაზე: ქალთა უფლებების გამოწვევები საქართველოში, ქალთა მიმართ ძალადობა და მისი პრევენცია, გენდერული დისკრიმინაცის ფორმები, საერთაშორისო პრაქტიკის მიმოხილვა, ინსტიტუციური და სამართლებრივი მექანიზმები. ტრენინგს ესწრებოდა 60 ადამიანი. შეხვედრაზე დამსწრე საზოგადოებამ საჭირო ინფორმაცია მიიღო ისეთი მნიშვნელოვანი საკითხების შესახებ, როგორიცაა სოფლად მცხოვრები ქალების ცნობიერების ამაღლება, ქალთა მიმართ ძალადობა, პრევენცია და გენდერული თანასწორობა.

- ევროკავშირის ფინანსური მხარდაჭერით- „ახალგაზრდა პედაგოგთა კავშირ“-ის მიერ ჩატარებულ ტრენინგში - „ქალების ძალა - ეკონომიკური და პოლიტიკური მონაწილეობა ინკლუზიური საზოგადოებისთვის საქართველოში“ პროექტის ფარგლებში მონაწილეობა მიიღო 20 ქალბატონმა.

- სამეწარმეო უნარების კურსი გაიარა 15 ქალბატონმა პროექტში- „ უნარების გაძლიერება და დასაქმების ინოვაციური შესაძლებლობები საქართველოს რეგიონული განვითარებისათვის“, რომელსაც ახორციელებს საქართველოს სტრატეგიული კვლევებისა და განვითარების ცენტრი (CSRDG) „ახალგაზრდა პედაგოგთა კავშირ“-სა და საქართველოს სამოქალაქო ასოციაციასთან ერთად, ევროკავშირის ფინანსური მხარდაჭერით.

- სოფლის განვითარების სააგენტოს პროექტის „დანერგე მომავალი“-ის ფარგლებში სოფელად მცხოვრები ქალბატონებისათვის გაიმართა საინფორმაციო შეხვედრები. შეხეედრები ჩატარდა 28 სოფელში.

- განხორციელდა საინფორმაციო კამპანია - სოფლის განვითარების სააგენტოს ახალი სახელმწიფო პროგრამა თხილის წარმოების ხელშეწყობის პროგრამის ფარგლებში. პროგრამა დასრულების სტადიაშია. ეფექტურად მიმდინარეობს პროგრამით გათვალისწინებული ღონისძიებები რეალიზება, რაც მნიშვნბელობნად უზრუბველყოფს თხილის მოვლა-მოყვანის ტექნოლოგიის სრულფასოვან ჩატარებას.

- ქალთა ეკონომიკური გაძლიერებისა და საგრანტო პროგრამებში მათი ჩართულობის ხელშეწყობის მიზნით, ოზურგეთის მუნიციპალიტეტის მერიაში არსებული ეკონომიკური განვითარების სამსახური კონსულტირებას უწევდა ქალებს საგრანტო პროგრამებთან დაკავშირებული სხვადასხვა პროცედურების განხორციელებაში.

ოზურგეთის მუნიციპალიტეტის

გენდერული თანასწორობის საბჭოს თავმჯდომარე: ნინო ჭანიშვილი